

ზოგადი დებულებანი ფაკულტეტის საბჭოს

- 1.1. შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდეგში სასწავლო უნივერსიტეტი) ფაკულტეტის საბჭო არის სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც განსაზღვრავს სასწავლო უნივერსიტეტის მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების ძირითად მიმართულებებს, ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას, ხარისხის განვითარების უზრუნველყოფას, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობას, სასწავლო გეგმისა და საგანმანათლებლო პროგრამების ინტეგრირებას, ერთობრივი სწავლების, სამეცნიერო - კვლევების პროგრამების შექმნას. ახორციელებს ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლება-მოვალეობებს;
- 1.2. ფაკულტეტის საბჭოს წევრად სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალიდან შეიძლება არჩეული იყოს პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, მიმართულების ხელმძღვანელი გარდა ასისტენტ პროფესორისა;
- 1.3. სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტის საბჭოს წევრად აკადემიური პერსონალის გარდა შეიძლება არჩეული იყოს სტუდენტური თვითმართველობის წარმომადგენელი;
- 1.4. ფაკულტეტის საბჭოს წევრის არჩევის ვადა განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტში მომქმედი საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობით;
- 1.5. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობა ექვემდებარება განახლებას ერთი მესამედით მისი უფლებამოსილების ვადის ნახევრის გასვლის შემდეგ;
- 1.6. ფაკულტეტის საბჭოს წევრად პირი შეიძლება არჩეულ იქნას ზედიზედ ორჯერ;
- 1.7. ფაკულტეტის საბჭო თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭის ყრით, სიის შემადგენლობის უმრავლესობით, დირექტორთან შეთანხმებით ირჩევს დეკანს - ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეს.

- 1.8. ფაკულტეტის საბჭო თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭის ყრით, სიის შემადგენლობის უმრავლესობით, აკადემიურ საბჭოს თავჯდომარესთან შეთანხმებით საბჭოს შემადგენლობიდან ირჩევს მდივანს , რომელსაც ევალება აკადემიური საბჭოს მიმდინარე საკითხების, ოქმებისა და დადგენილებების გაფორმება; აღნიშნულ საკითხებს კურირებს პროორექტორი-სასწავლო დარგში;
- 1.9. ფაკულტეტის საბჭო მოქმედებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ნორმატიული აქტებითა და შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის მომქედი დებულებისა და წინმდებარე დებულების შესაბამისად:
- მუშაობის ძირითადი პრინციპებია:
- მიღებული გადაწყვეტილებების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული პირისთვის;
 - ფაკულტეტის პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიური თავისუფლების დაცვა;
 - თანასწორუფლებიანობა განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესის, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვა;
 - არჩევნების სამართლიანობა და გამჭვირვალობა, კონკურსის საჯაროობა;
- 1.10. სასწავლო უნივერსიტეტის ფაკულტეტის საბჭოს რეგლამენტი განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილების განხორციელების წესს, პროცედურას და სავალდებულოა ყველა წევრისათვის;
- 1.11. ფაკულტეტის საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა იმ საკითხს, რომელიც მონესრიგებული არ არის რეგლამენტით, ფაკულტეტის საბჭო გადაწყვეტს დადგენილებით.